აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
„რელიგიის კვლევები“, მაგისტრატურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
19.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 3

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 22

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 33

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 40

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 51

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ალექსიძე, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი არქანია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მღვდელმონაზონი ეფრემი (გივი ლომიძე), ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Privatdozent), ავსტრია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	რელიგიის კვლევები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Religious Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	რელიგიის კვლევების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0221 რელიგია და თეოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, N71, 26.07.2016
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა (4 სემესტრი, 120 კრედიტი) ხორციელდება 2016 წლიდან. ყოველწლიურად პროგრამა აცხადებს მიღებას 15 სტუდენტისათვის, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე ჩარიცხულთა რაოდენობა არის 5. სტატისტიკურად პროგრამა იღებს დაახლოებით ყოველ მესამე აპლიკანტს.

პროგრამაში მნიშნელოვანი ცვლილებები განხორციელდა რეაკრედიტაციისთვის მზადებისას, შესაბამისად ამჟამად წარმოდგენილი პროგრამა არის 2016 წელს შედგენილი პროგრამის უფრო დახვეწილი და განვითარებული ვერსია. პროგრამას დაემატა რამდენიმე ახალი საგანი, ,,როგორ ვიკვლიოთ რელიგია-რელიგია საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში II", და ,,შედარებითი ქრისტიანული თეოლოგია" - ამ ორი საგნის დამატება განპირობებულია როგორც პრაქტიკული კვლევის, ისე თეორიული ცოდნის გაღრმავების საჭიროებით. ამავე მიზნით, კურიკულუმს სავალდებულო კომპონენტად დაემატა უკრედიტო 'ექსპედიცია'.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 21 ნოემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნიკოლოზ ალექსიძე (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი), მღვდელმონაზონი ეფრემი (გივი ლომიძე), ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Privatdozent), ავსტრია და თამთა ლეკიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი). ვიზიტის დროს ინტერვიუები ჩატარდა ყველა დაინტერესებულ პირთან: თვითშეფასების ჯგუფთან, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელობასთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება ყველა სტანდარტს. ექსპერტთა ჯგუფს აქვს მხოლოდ მცირე რეკომენდაციები და რჩევები, რაც გავლენას არ ახდენს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს დატვირთვის შესაბამისი კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების სისტემა, შეფასების ეფექტური მექანიზმი, ასევე, დაზუსტდეს, სამუშაოს ტიპები, ხანგრძლივობა, ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები.ან მოხდეს ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში.
  -
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

  - პროგრამის გამორჩეულად საუკეთესო პრაქტიკა, ისევე, როგორც მთელი უნივერსიტეტის არის, საქართველოში ყველაზე დახვეწილი ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ბაზებზე წვდომა და ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგია.
  - დამსაქმებლების, პროგრამის და მასში ჩართული პირების მჭიდრო თანამშრომლობა და ერთგვარ სინერგია.
  - დახვეწილი, მრავალფეროვანი და ეფექტური შიდა შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.
  - პერსონალის რეგულარული არაფორმალური შეხვედრები და მსჯელობა პროგრამის განვითარების თაობაზე.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

1. 2.2 ქვესტანდარტთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია შემდეგნაირია:

"ექსპედიციის სპეციფიკა, განსხვავებით სხვა, სტანდარტული სასწავლო კურსებისგან, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფორმატი მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო მორგებული იმ მრავალფეროვან კვლევით სამუშაოებს, დიზაინსა და მეთოდოლოგიას, რომელიც შეიძლება იყოს დაგეგმილი ხელმძღვანელისა და სტუდენტის მიერ –

ექსპედიციის დროს სამუშაოს ტიპი დამოკიდებულია პროფესორის და სტუდენტის მიერ განსაზღვრულ კვლევის ველსა და შერჩეულ მეთოდოლოგიაზე, იქნება ეს ჰუმანიტარული თუ სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები." დაწესებულების პოზიციაა, რომ მრავალფეროვნების გამო, რთულია ამ კომპონენტს განესაზღვროს კრედიტი.

მიუხედავად ამისა, ექსპერთა ჯგუფი რჩება თავის პოზიციაზე, რომ რადგან ეს კომპონენტი არის საჭირო სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად და რადგან მასში არის უკვე წარმოდგენილი რუდიმენტული შეფასების სისტემა, საჭიროა, რომ ამ კომპონენტს განესაზღვროს კრედიტი და მოხდეს მისი უფორ მეტად ფორმალიზება.

2. მეორე რეკომენდაციაზე 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია შემდეგნაირია:

"შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია 51 ქულით. რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციის შემოწმებას, ამ მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება,

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

გასაუბრებაზე წაიკითხოს და გაიაზროს B2 დონის ინგლისურენოვანი დარგობრივი ტექსტი. მიღების დოკუმენტში დაზუსტდა, რომ ტექსტი შეირჩევა პროგრამის ჯგუფის და ინგლისურის ენის სპეციალისტების მიერ. ტექსტის წაკითხვის და გააზრების უნარების შეფასების მიზნით, გასაუბრებისას პროგრამაზე მიმღები კომისიის მიერ დასმული იქნება ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული კითხვები. აქვე გვსურს დავამატოთ, რომ ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით, აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ინგლისური ენის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (მაგ. TOEFL, IELTS, FCE).”

შესაბამისად, ექსპერთა ჯგუფი იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და ამ რეკომენდაციას აუქმებს.

3. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას 5.1 ქვესტანდარტთან მიმართებით, დაწესებულებამ გაგვცა პასუხი, რომ, როგორც ინტერვიუებიდანაც გამომდინარეობდა, სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრებს ატარებენ რეგულარულად და რომ “რეაკრედიტაციაზე წარდგენილ განახლებულ პროგრამაში ასახულია სტუდენტთა უკუკავშირი, თუმცა განახლებული პროგრამის გაცნობა პირველკურსელთათვის აკრედიტაციის ვიზიტამდე ვერ მოესწრო. ასეთი შეხვედრა ჩატარდა 2022 წლის 6 დეკემბერს და მასში მონაწილეობა მიიღო მოქმედმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.”

ექსპერთა ჯგუფისთვის დაწესებულების პასუხი დამაკმაყოფილებელია და რეკომენდაციას მიეცემა რჩევის ხასიათი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (204861970), მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი 2016 წლიდან ახორციელებს სამაგისტრო პროგრამას „რელიგიის კვლევები", რაც ქართულ საერო და სასულიერო სასწავლებლებში ერთადერთი პროგრამაა ამ მიმართულებით და ამდენად ანალოგიც არ გააჩნია. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც თავის მხივ უმთავრეს პრიორიტეტად ცოდნის შეძენას, გააზრებას, გაზიარებას და პრაქტიკაში ათვისებას სახავს.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა თავისი იდეით, ფილოსოფიითა და მიზნით წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ და წმინდად „სამეცნიერო" პროგრამას, რაც არ გულისხმობს ქვეყანაში არსებული რომელიმე „რელიგიის ან ქრისტიანული კონფესიის" პატრონაჟის ქვეშ ფუნქციონირებას (რწმენით-აღმსარებლობითი ნიშნით) და მასთან იურიდიულ ბმას (მემორანდუმისა თუ კონკორდატის გზით). პროგრამის მიზნებს შორის პირველ ადგილზეა რელიგიის, როგორც სოციუმის ნაწილის, საზოგადოებრივი ფენომენის აკადემიურ-სამეცნიერო დონეზე, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, შესწავლა და ანალიზი. შესაბამისად, პროგრამის იდეა ემსახურება, მოამზადოს კვალიფიციური კადრები და მისცეს მათ სისტემური ცოდნა და ანალიზის განვითარების უნარი რელიგიის კვლევებისა და ზოგადად რელიგიათმცოდნეობის მიმართულებით. თავად პროგრამა მაგისტრანტებს აძლევს საშუალებას, გაეცნონ სამ ძირითად აბრაამულ რელიგიას და მათ ტრადიციებს, რათა მათ შეძლონ ამ ცოდნის გამოყენება საზოგადოებაში არსებული გამოწვევების ანალიზისას, მით უმეტეს რელიგიურად ისეთ მრავალფეროვან რეგიონში, როგორიც საქართველოა, სადაც რელიგია ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკური თუ ღირებულებითი ორიენტირების განსაზღვრაში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაკვირვებით (რაც განსაკუთრებით გულისხმობს სილაბუსების, კონცეფციების, მოწვეული პროფესორების ბიოგრაფიების, მათი აკადემიური საქმიანობის ხარისხს და ა.შ.) და უნივერსიტეტის წარმომადგენლობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან თუ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამა „რელიგიის კვლევები", თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მეტად საჭირო და აუცილებელია ქართული საზოგადოების რელიგიური ცნობიერების, საზოგადოებაში მისი როლის კვლევის კუთხით. უნდა ითქვას, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ასევე თავად უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიასთანაც, სადაც ხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა.
როგორც თვითშეფასების დოკუმენტში ჩანს და ასევე დადასტურდა ინტერვიუებიდან, პროგრამის მიზნების შემუშავებისას, პროგრამის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, განსაკუთრებით კი იმ უნივერსიტეტების, რომლებიც ტრადიციულად ძლიერია რელიგიისმცოდნეობის სწავლებაში.

დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას, როგორიც არის, მაგალითად, ადენაუერის ფონდი და სხვა, გამოიკვეთა, რომ პროგრამის მიზნები მართლაც შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რაც არსებობს საქართველოს ბაზარსა და ინტელექტუალურ გარემოში. მეტიც, დადასტურდა ერთგვარი სინერგიის არსებობა დამსაქმებლებსა და

პროგრამას შორის, რაც გამოიხატება მუდმივ თანამშრომლობაში როგორც პროგრამის შემუშავების დროს, ისე მიზნების განსაზღვრაში საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ მხრივ, პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მუდმივი მზაობა, რომ პროგრამა შემუშავდეს და ადაპტირდეს ერთი მხრივ თანამედროვე ცოდნის ზრდასთან ერთად და მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე.

პროგრამის გაცხადებული მიზანი ასევე არის, რომ სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა მოახდინოს პროგრამაზე მიღებული ცოდნის და გამოცდილების სინთეზირება ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნასთან, რაც ნებისმიერ სხვა დარგში შეიძლებოდა ყოფილიყო და ამავე დროს მის პრაქტიკულ საქმიანობასთან. სწორედ ამიტომ, პროგრამას არ აქვს დაწესებული ფორმალური მოთხოვნა წინა კვალიფიკაციის თაობაზე. ამდენად პროგრამის მიზანია, ერთი მხრივ მოამზადოს პროფესიონალი რელიგიისმცოდნეები, მაგრამ მეორე მხრივ, ასევე აღჭურვოს კერძო ან საჯარო სექტორში დასაქმებული, განსხვავებული სპეციალიზაციის ადამიანები, რელიგიის პრობლემატიკის, ტოლერანტობისა და ინკლუზიურობის არა მარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკულად ამ თემებზე მუშაობის გამოცდილებითაც, რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელ საჯარო სივრცეში (მედია, სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პოტენციური დამსაქმებლების კვლევა;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევა;
- პროგრამის მიზნის რუკა;
- უნივერსიტეტის მისია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 2018-2024 წლების სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ანალოგების დოკუმენტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☑	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების, პროგრამის მიზნებზე, შედეგების რუკასა და ინტერვიუებზე დაყრნობით, პროგრამის შედეგები სრულად შესაბამისია როგორც პროგრამის მიზნებთან, ისე სტანდარტთან. პროგრამა ასევე შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამას დეტალურად აქვს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული შემდეგი რვა შედეგი:

სტუდენტი/ს:

1. ავლენს რელიგიის და რელიგიურობის ძირითადი და უახლესი კონცეფციების, პარადიგმების ღრმა და სისტემურ ცოდნას.
2. ავლენს თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების და მათი ისტორიული, კულტურული და სოციალური ასპექტების კომპლექსურ ცოდნას.
3. შეუძლია რელიგიის კვლევების ჭრილში რელიგიების ისტორიის, რელიგიური ტექსტების კრიტიკული ანალიზი და მათი ინტერდისციპლინური მიდგომებით შესწავლა და ინტერპრეტაცია.
4. ავლენს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის (ქრისტიანობა (პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა), ისლამი, იუდაიზმი) აქტუალური თეოლოგიური საკითხების ღრმა ცოდნას და შეუძლია მათი თანამედროვე კონტექსტში ინტერპრეტაცია.
5. ავლენს რელიგიის თემაზე აქტუალური სამეცნიერო და საზოგადოებრივი დისკურსის ცოდნას.
6. შეუძლია რელიგიის კვლევების სფეროში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, მისი შესწავლისთვის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, კვლევის ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
7. კომპეტენტურად და დამაჯერებლად საკუთარი მოსაზრებების, არგუმენტებისა და დასკვნების/კვლევის შედეგების კომუნიკაცია, წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოების წინაშე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით.
8. შეუძლია იმოქმედოს ავტონომიურად სწავლის და კვლევის პროცესში და გამოავლინოს საკუთარი მეცნიერული ხედვა და დამოკიდებულება.

პროგრამის შესწავლისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, დადგინდა, რომ პროგრამას აქვს პოტენციალი, რომ კურიკულუმის და სილაბუსებიდან გამონდინარე, მიაღწიოს ჩამოთვლილ შედეგებს. პროგრამის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია უმაღლეს

ხარისხზე და ნათელია, რომ სწავლის ზემოთჩამოთვლილი შედეგები მიღწეულია თუნდაც ამ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ და აქვთ მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ინტერესები, როგორც რელიგიის სოციოლოგიის, ისე რელიგიის ანთროპოლოგიის ან რელიგიის ისტორიის მიმართულებით და პროგრამამ მათ მისცა საშუალება, რომ განევითარებინათ და გაერღმავებინათ ეს ინტერესები.

დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგადაც დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები ამ თვალსაზრისითაც თანხვედრაშია. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში დეტალურად არის აღწერილი, თუ რომელი სავალდებულო საგანი რომელ შედეგზე გადის. ასევე, მიზნების რუკაში ნათლად არის აღწერილი პროგრამის მიზნების (სისტემური ცოდნა რელიგიის, როგორც კომპლექსური საზოგადოებრივი ფენომენის შესახებ; რელიგიის კვლევების თანამედროვე, აქტუალური საკითხების დამოუკიდებელი კვლევის უნარი; სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების, თეოლოგიური საკითხების და რელიგიის თეორიების შესწავლის საფუძველზე ეგზისტენციალურ, ეთიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე ფიქრი, რელიგიის ისტორიული და თანამედროვე საკითხების ანალიზი კონტექსტუალურად და კრიტიკულად) და შედეგების თანხვედრა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ექსპედიციის კონცეფცია;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☑	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ეყრდნობა ზოგადად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდა თვითშეფასების სისტემას. ეს სისტემა მოიცავს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე შემფასებლის, პროგრამის ხელმძღვანელის, სამუშაო ჯგუფების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის). პროგრამის შიდა თვითშეფასება არის კომპლექსური და დახვეწილი პროცესი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპსა და პერიოდს.

თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამას განსაზღვრული აქვს შემდეგი მექანიზმები:

•სტუდენტების აკადემიური მოსწრება;

•სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შემავალ კურსებთან დაკავშირებით;

•პროგრამაში ჩართული აკადემიური დამოწვეული პერსონალის შეფასება;

•პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება სამიზნე ნიშნულების საფუძველზე;

•დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის შესახებ;

•პროგრამის კოლეგიალურიშეფასება (გარე რევიუ);

•სტუდენტების გამოკითხვა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით;

•დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები.

გარდა დოკუმენტების წარმოდგენისა, გასაუბრებისას დაწესებულებამ დეტალურად ახსნა შიდა შეფასების მექანიზმები, წარმოადგინა მაგალითები და სხვა მტკიცებულებები. ასევე დადასტურდა, რომ შეფასებიდან და უკუკავშირიდან გამომდინარე, განხორციელდა რამდენიმე ცვლილება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასევე, განხორციელდა:

●სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;

●სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა პროგრამაში შეთავაზებული კურსების შესახებ;

●სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთვრებულების გამოკითხვა პროგრამების შესახებ;

●სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფები;

●სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეგიალური გარე შეფასება;

●პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

•პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი;

•პროგრამის სწავლის შედეგები;

•პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა;

•პროგრამის რესურსები.

ასევე, მაგალითად, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, პერსონალმა და კურსდამთავრებულებმა ერთხმად აღნიშნეს, 'ექსპედიიცის' კომპონენტი გახდა სავალდებულო სწორედ ასეთი უკუკავშირიდან გამომდინარე.

პერსონალმა ასევე აღნიშნა, რომ ისინი რეგულარულად გადიან ტრენინგებს შეფასების სისტემების დახვეწის თაობაზე, რაც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა კურსების სწორად წარმართვისთვის. ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ილიას უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი და მრავალმხრივი აქვს, აკადემიური პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- •საგანმანათლებლოპროგრამა;
- •პროგრამის მიზნების რუკა;
- •სწავლის შედეგების რუკა;
- •სამიზნე ნიშნულები;
- •ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- •ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- •მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- •არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა "არგუსი" http://argus.ge/ge/;
- •პროგრამის შეფასების მიზნით სხვადასხვა დაინტერესებული მხარის გამოკითხვის/შეფასების შედეგები;
- • ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☑	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, პროგრამა ფორმალურად თანხმობაშია სამაგისტრო კვალიფიკაციის სტანდარტებთან, სადაც მაგისტრანტებს აქვთ რელიგიის კვლევების აკადემიურ დონეზე დაუფლების შესაძლებლობა, მისი სამეცნიერო დონეზე ათვისებისა და მიღებული ცოდნის ანალიტიკურად გამოყენების მხრივ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურული აგებულება, რომელიც 120 კრედიტს შეადგენს და ორ აკადემიურ წელს მოიცავს, განაწილებულია შემდეგნაირად:

სავალდებულო კურსები 36 კრედიტით: სავალდებულო საგნები მოიცავს რელიგიის კვლევებისათვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს. ჩამოთვლილი საგნები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გაეცნონ რელიგიათმცოდნეობაში უახლეს და აქტუალურ თემატიკსა და პრობლემატიკას და რელიგიის კვლევებისათვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ მეთოდოლოგიას.

სავალდებულო-არჩევითი კურსები მინიმუმ 42 კრედიტით: საგნების ეს ჯგუფი ფარავს უფრო სპეციფიკურსა და ტექნიკურ პრობლემატიკას და საშუალებას აძლევს სტუდენტს, ცოდნა გაიღრმავოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს ისეთი ზოგადი მიმართულებები, როგორიცაა რელიგიის სოციოლოგია, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება, რელიგია და გენდერი, რელიგია და სამართალი, რელიგიის ისტორია და რელიგიის ანთროპოლოგია.

არჩევითი კურსები 12 კრედიტით: ამ ჯგუფში შედის ოთხი საგანი, რომლებიც არ არის დაჯგუფებული რაიმე პრინციპის მიხედვით, თუმცა შესაძლოა სტუდენტებს ჰქონდეთ სურვილი ცოდნის ამ მიმართულებები გაღრმავების.

ბოლო 30 კრედიტი კი ეთმობა უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამა შინაარსობრივად აქცენტირებულია რელიგიის სფეროში საზღვარგარეთ თანამედროვე მიღწევების საქართველოში გადმონერგვასა და ათვისებაზე, რაც ნაჩვენებია პროფესორების მიერ მათი სალექციო კურსისათვის მითითებულ წყაროებსა და დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურაში. დარგის ექსპერტის დაკვირვებიდან გამომდინარე, კურსებში მითითებული სამეცნიერო მასალა დიდწილად წარმოადგენს რელიგიის კვლევებში არსებულ მნიშვნელოვან, უახლეს და აქტუალურ გამოცემებს, რაც მაგისტრანტებს, ცოდნითი თვალსაზრისით, სწავლისას ნამდვილად უადვილებს უახლეს პუბლიკაციებთან წვდომას. უნდა ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აკმაყოფილებს სტუდენტისათვის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა პროგრამის ხელმძღვანელობა და აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, უცხოელი კოლეგები (მაგ. ლუნდის უნივერსიტეტიდან), ფაკულტეტის საბჭო, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ფაქტობრივად ყველა დაინტერესებული პირი იცნობდა პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს და ამა თუ იმ გზით მიღებული ჰქონდა მის შემუშავებაში მონაწილეობა.

ზემოთთქმულიდან გამონდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (რელიგიის კვლევების მაგისტრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	☑	☐	☐	☐

სტრუქტურა და შინაარსი				

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული: პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება სილაბუსების შინაარსით და ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული კურსი უკავშირდება პროგრამის სწავლის მინიმუმ ერთ შედეგს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მათში განსაზღვრული ძირითადი თემატიკის გათვალისწინებით. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით.

სასწავლო პროგრამის სავალდებულო საგნების კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს და შედგება შემდეგი საგნებისგან: "იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საკვანძო საკრალური ტექსტების კრიტიკული ანალიზი", სადაც სტუდენტები ეცნობიან სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიის ფუძემდებლურ ტექსტებს, რაც საფუძველია რელიგიისმცოდნეობის.

ასევე ყველა სტუდენტი სავალდებულოდ სწავლობს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს. თუმცა საგანი საკმაოდ ზოგადია და ფარავს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების რამდენიმე ასპექტს. ცხადია, მხოლოდ ამ საგნის გავლით, სტუდენტი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი კვლევის წარმოებას, თუმცა წარმოდგენას შეიქმნის კვლევის მეთოდების შესახებ.

ასევე სავალდებულო საგანია "რელიგიის კვლევების აქტუალური თეორიები და კვლევები - რელიგია საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში I", რომელიც პირდაპირაა რელევანტური პროგრამისთვის.

კიდევ ერთი სავალდებულო საგანია 'როგორ ვიკვლიოთ რელიგია', სადაც სტუდენტები ეცნობიან კონკრეტულად რელიგიისმცოდნეობისათვის საჭირო კვლევის მეთოდებს და, ასევე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რელიგიის კვლევის ეთიკურ საკითხებს.

საგანში 'შედარებითი ქრისტიანული ტრადიცია' სტუდენტები სწავლობენ საქართველოში დომინანტური ქრისტიანული ტრადიციების სპეციფიკას.

სავალდებულო საგანია, ასევე, 'აკადემიური წერა'.

საერთო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო საგნების სპეციფიკა და მათი სწავლების მეთოდოლოგია ისევე როგორც სილაბუსებში დასახელებული ლიტერატურა უზრუნველყოფს ამ კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების და ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

გარდა სავალდებულო საგნებისა, პროგრამა სტუდენტებს ასევე სთავაზობს სავალდებულო არჩევით საგნებს (მინიმუმ 42 კრედიტი). სავალდებო არჩევითი საგნების მრავალფეროვანი (22 საგანი) ჩამონათვალი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, კიდევ უფრო მეტად გაიღრმავონ ცოდნა და მეტი ინტერდისციპლინურობა შესძინონ მას. შინაარსობრივად ეს საგნები მოიცავს როგორც რელიგიის ისტორიის, ისე რელიგიური ინსტიტუციების, კანონიკური სამართლის, რელიგიის სოციოლოგიის, რელიგიის ფილოსოფიისა და სხვა მომიჯვნავე საკითხებს.

12 კრედიტი ეთმობა თავისუფალ არჩევით საგნებს, რომელიც მოიცავს ოთხ კურსს: 'რელიგია და ძალაუფლება', 'პოლიტიკური თეოლოგია', 'ხელოვნების რელიგია', 'ისლამის ისტორია, პოლიტიკა, კულტურა'.

დარჩენილი 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს.

ყველა სილაბუსში მითითებული ლიტერატურა არის უახლესი და რელევანტური. თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა სამართლიანად აღნიშნა, უახლესი ლიტერატურა თავისთავად თვითმიზანი ან პანაცეა არ არის და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად შედარებით ძველი ლიტერატურა არ ნიშავს მოძველებულს, ხოლო ახალი – ყველა შემთხვევაში უკეთესს. ჩვენ მიერ სილაბუსების შესწავლის საფუძველზე, დავრწმუნდით, რომ ეს მართლაც ასეა და მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსები შინაარსობრივად, მათი კომპლექსურობისა და სიღრმის თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება მაგისტრატურის მოთხოვნებს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სილაბუსები/კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; •კურსების შეფასების კითხვარი ;•ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხისგადახდის განსაზღვრის წესი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა"არგუსი"https://argus.ge/ge/;
- ელექტრონულის წავლების პორტალი https://elearning.iliauni.edu.ge.
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამა არ ზღუდავს აპლიკანტებს და ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრს აძლევს საშუალებას, სწავლა გააგრძელონ მათ პროგრამაზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს შემდეგ პროცესს და შედგება 100 ქულისგან, რაც ჩაშლილია შემდეგნაირად:

- აკადემიური და პერსონალური მიღწევები: მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.) და ამ მიღწევებზე რეფლექსია (15 ქულა)
- ზეპირი გამოცდა, სადაც მოწმდება აპლიკანტის მიერ დარგის ზოგადი პრობლემატიკისა და თანამედროვე მდგომარეობის ცოდნა (50 ქულა)
- მოტივაცია (20 ქულა)
- კომუნიკაციის უნარი, რაც მოიცავს ქართულ ენაზე აზრის გამართულად ჩამოყალიბების უნარს (5 ქულა) და ინგლისური ენის ფლობას B2 დონეზე (10 ქულა).

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პროცედურა დეტალურადაა გაწერილი, არის სამართლიანი და გამჭვირვალე. მიუხედავად ამისა, პროგრამაზე მიღების დოკუმენტში არ ჩანს, თუ მინიმუმ რამდენი ქულა უნდა დააგროვოს აპლიკანტმა იმისთვის, რომ მიღებულ იქნას პროგრამაზე.

ასევე, შეფასების ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობს სპეციალური ლიტერატურის ინგლისურ ენაზე წაკითხვას და გააზრებას. თუმცა, ბუნდოვანია თუ მიღებული შედეგით როგორ ხდება ენის კონკრეტულ დონეზე ცოდნის დადგენა. მიღების დოკუმენტიდან არ არის ცხადი, საკმარისია, თუ არა, აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარმოდგენა.

ექსპერთა ჯგუფის აღნიშნულ შენიშვნას დაწესებულებამ გასცა წერილობითი პასუხი და წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები. კერძოდ, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ:

"შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია 51 ქულით. რაც შეეხება ინგლისური ენის კომპეტენციის შემოწმებას, ამ მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება, გასაუბრებაზე წაიკითხოს და გაიაზროს B2 დონის ინგლისურენოვანი დარგობრივი ტექსტი. მიღების დოკუმენტში დაზუსტდა, რომ ტექსტი შეირჩევა პროგრამის ჯგუფის და ინგლისურის ენის სპეციალისტების მიერ. ტექსტის წაკითხვის და გააზრების უნარების შეფასების მიზნით, გასაუბრებისას პროგრამაზე მიმღები კომისიის მიერ დასმული იქნება ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებული კითხვები. აქვე გვსურს დავამატოთ, რომ ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით, აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ინგლისური ენის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი (მაგ. TOEFL, IELTS, FCE)."

შესაბამისად, ექსპერთა ჯგუფი იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მითითებულ რეკომენდაციას აუქმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

•საგანმანათლებლო პროგრამა;

•პროგრამაზე მიღების დოკუმენტი;

•ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. https://iliauni.edu.ge/ge/;

• ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

N/a

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☑	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუები თვალნათლივ ადასტურებენ მოცემული პროგრამის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და შემოქმედებითი უნარიანობის მაღალ მაჩვენებელს. ამისათვის მაგისტრანტები ეცნობიან რელიგიის შესახებ კვლევების აქტუალურ კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს, რაც ხელს უწყობს მათი უნარების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. რელიგიის საკითხების კარგად ნაჩვენები მრავალწახნაგოვანი შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური და ჰერმენევტიკული შრეების გაცნობის გვერდით პროგრამა ასევე უზრუნველყოფს აკადემიური წერის უნარების განვითარებას, რომელიც პროგრამის სავალდებულო საგნებს განეკუთვნება. პროგრამის ფუნქციონირების ამგვარი მიდგომა, ბუნებრივია, ხელს უწყობს კვლევის შედეგების გაზიარების უზრუნველყოფას. მაგისტრანტების აკადემიური და პრაქტიკული უნარების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მათი ჩართულობა კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში. საუკეთესო სტუდენტებს ეძლევათ შანსი მიიღონ სტიპენდია „კონრად ადენაუერის წარმომადგენლობის მიერ სამხრეთ კავკასიაში". გარდა ამისა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ყოველწლიურად ჩაერთონ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ინტერდისციპლინარული, ინტერრელიგიური და ინტერკონფესიური აკადემიური ხასიათის მქონე კონფერენციებში, აგრეთვე კვირეულებში რელიგიურ თემატიკაზე, გაცვლით პროგრამებსა და სხვა. ისეთი ხასიათის თემების შესახებ ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორიცაა მაგალითად მშვიდობა და ძალადობა, რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში, ქრისტიანობა და ხელოვნება, საბჭოთა რელიგიის პოლიტიკა და მისი მემკვიდრეობა საქართველოში, ხილული და უხილავი რელიგია, ხელს უწყობს სტუდენტებში ისეთი ტიპის

უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მათ როგორც რელიგიის ექსპერტებს მოამზადებს საზოგადოებაში თანამედროვე რელიგიური პროცესების ანალიტიკური შეფასების კუთხით.

ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს და უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომებში შესანიშნავად იყო მიღწეული თეორიული/კონცეპტუალური ჩარჩოსა და თვისებრივი კვლევითი მეთოდოლოგიის სინთეზი, რაც ადასტურებს, რომ სტუდენტებს მართლაც გამომუშავებული აქვთ შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიები.

ერთ-ერთი კვლევითი კომპონენტი არის ე.წ. ექსპედიცია, რომელიც სავალდებულოა, თუმცა უკრედიტო. ასევე, ექსპედიციის კონცეფციაში მითითებულია, რომ ექსპედიცია, "ველზე მუშაობის გამოცდილება, კვლევის უნარების და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სტუდენტს ეხმარება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და რელიგიის კვლევების დარგის უკეთ დაუფლებაში". ექსპედიციის კომპონენტს აქვს შეფასებიის სისტემა, რომელიც მხოლოდ ჩათვლა/არჩათვლაში გამოიხატება, თუმცა მაინც აქვს კრიტერიუმები: სრულად აკმაყოფილებს, ნაწილობრივ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს. ბუნდოვანია, თუ რა განსხვავებაა, ან რაში გამოიხატება შეფასებისას, სტუდენტი სრულად აკმაყოფილებს თუ მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ყველა ან ზოგ კრიტერიუმს.

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ვინაიდან ექსპედიციის კომპონენტი ა) არის სავალდებულო, ბ) არის კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი, გ) მისი გავლა "სტუდენტს ეხმარება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და რელიგიის კვლევების დარგის უკეთ დაუფლებაში" და "ექსპედიციაში მონაწილეობა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას" და დ) რადგან მასში უკვე არის ჩადებული ჩაშლილი კომპონენტების გარკვეული შეფასების სისტემა (მაგ. სრულიად აკმაყოფილებს, ნაწილობრივ აკმაყოფილებს, არ აკმაყოფილებს) ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს გარკვეული კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების სისტემა. ალტერნატივად, შესაძლებელია ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი. ასევე უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის სამუშაო უნდა შეასრულოს სტუდენტმა ექსპედიციაში (დაზუსტდეს საათების მინიმალური რაოდენობა, სამუშაოს ტიპები, ხანგრძლივობა, ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები და ა.შ.) და ჩამოყალიბდეს შეფასების ეფექტური მექანიზმი.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი არგუმენტირებული პოზიცია:

"ექსპედიციის სპეციფიკა, განსხვავებით სხვა, სტანდარტული სასწავლო კურსებისგან, მდგომარეობს იმაში, რომ მისი ფორმატი მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო მორგებული იმ მრავალფეროვან კვლევით სამუშაოებს, დიზაინსა და მეთოდოლოგიას, რომელიც შეიძლება იყოს დაგეგმილი ხელმძღვანელისა და სტუდენტის მიერ - ექსპედიციის დროს სამუშაოს ტიპი დამოკიდებულია პროფესორის და სტუდენტის მიერ განსაზღვრულ კვლევის ველსა და შერჩეულ მეთოდოლოგიაზე, იქნება ეს ჰუმანიტარული თუ სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები." ასევე დაწესებულების პოზიციაა, რომ მრავალფეროვნების გამო, რთულია ამ კომპონენტს განესაზღვროს კრედიტი.

მიუხედავად ამისა, ექსპერთა ჯგუფი რჩება თავის პოზიციაზე, რომ რადგან ეს კომპონენტი არის საჭირო სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად და რადგან მასში არის უკვე წარმოდგენილი რუდიმენტული შეფასების სისტემა, საჭიროა, რომ ამ კომპონენტს განესაზღვროს კრედიტი და მოხდეს მისი უფორ მეტად ფორმალიზება.

პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ ექსტრაკურიკულარულ ღონისძიებებში, რაც ჩამოთვლილი არის პროგრამის თვითშეფასებაში და ამავდროულად დაზუსტდა გასაუბრებებისას:

•რელიგიის კვლევების სტუდენტების შეხვედრა მედიაკავშირ „ინდიგოსთან“ (2022) დისკუსია „მშვიდობა და ძალადობა რელიგიის სახელით“ და ჟურნალის „მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა “პრეზენტაცია. (2022)

•წიგნის „რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში“ პრეზენტაცია, (2022);

•საჯარო ლექცია თემაზე “ქრისტიანობის ინდიგენიზაცია ინდონეზიურ და ფილიპინურ ხელოვნებაში: -მომხსენებელი რიგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე ლეონტა ივანსი. (2022)

•ლექციათა ციკლი; მომხსენებელი ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის პროფესორი მილდა ალისა უსკინე(2022)

•სემინარი რელიგიის მიმართულების სტუდენტებისთვის: „მართლმადიდებელი თეოლოგების დეკლარაცია „რუსული სამყაროს“ სწავლების შესახებ“ (2022)

•რელიგიის კვირეული(2021)-საჯაროლექციების სერია-https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/siaxleebi-302/religiis-kvireuli-ilias-saxelmwifo-universitetshi.page

•დოქტ. კრაიგ კონსიდინეს ლექცია-საუბარი თემაზე: „წიგნი სხალხი-წინასწარმეტყველ მუჰამედის შეხვედრები ქრისტიანებთან“(2021)

•3 საზაფხულო სკოლა მერსერის უნივერსიტეტის პროფესორების და სტუდენტების „ახალი აღთქმის“ პირველი აზრობრივი თარგმანის პრეზენტაცია (2019)

•რეუვენ ფაიარსტონის საჯაროლექცია (2018)

•პროფ. მარტინ ტამკესვ ორკშოპი რელიგიის კვლევების სტუდენტებისთვის (2019)

•დოქ. სუზი ჰარიბრანდტის ლექცია(2018)

•დისკუსია „საბჭოთა რელიგიის პოლიტიკა და მისი „მემკვიდრეობა“ თანამედროვე საქართველოში “https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/diskusia-sabchota-religiis-politika-da-misi-memkvidreoba-tanamedrove-saqartveloshi.page?fbclid=IwAR3HQf_0bVLsi45Ptvo-l5yUh_bJShAgjA_cz_hKPNUGmolQaFoWPDriiOg

•კონფერენცია „ხილული და უხილავი რელიგია-რელიგიის საკითხების სოციო-პოლიტიკური და კულტურული განზომილება საქართველოში“(2019)https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/siaxleebi-302/konferencia-xiluli-da-uxilavi-religia-religiis-sakitxebis-socio-politikuri-da-kulturuli-ganzomileba-saqartveloshi.page

•ბერლინის კათოლიკური აკადემიის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა-სემინარი რელიგიის კვლევების პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან(2018)

•ექსპედიციები (პანკისში, კახეთი(ბოჭორმა), ჯავახეთი(გორელოვკა), შიდაქართლში(უფლისციხე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ექსპედიციის კომპონენტს განესაზღვროს დატვირთვის შესაბამისი კრედიტი, შემუშავდეს ამ კომპონენტის შეფასების სისტემა, შეფასების ეფექტური მექანიზმი, ასევე, დაზუსტდეს, სამუშაოს ტიპები, ხანგრძლივობა, ანგარიშის ჩაბარების კრიტერიუმები.ან მოხდეს ექსპედიციის ინტეგრირება სხვა კურსებში, როგორიცაა, მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☑	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა არის სტუდენტზე ორიენტირებული და ხორციელდება მაგისტრატურის შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით. როგორც თვითშეფასების ანგარიშში არის მითითებული, სწავლისა და სწავლების მეთოდებად არის გამოყენებული შემდეგი:

•ლექცია/სემინარი;

•დემონსტრირების მეთოდი;

•პრაქტიკული მეთოდი;

•გონებრივი იერიში;

•დისკუსია/დებატები;

•რეფლექსია;

•ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები;

•შემთხვევის ანალიზი (case study);

•ანალიზი და სინთეზი;

•სუპერვიზია და სხვა.

როგორც პროგრამის პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას გაირკვა, აღნიშნული მეთოდები უხვად არის გამოყენებული სწავლების პროცესში. ლექტორები ფლობენ სწავლების ჩამოთვლილ მეთოდებს და სტუდენტებსაც აქვთ გამოცდილება მსგავსი მუშაობის. პროგრამის პერსონალი რეგულარულად იკრიბება და მსჯელობენ პროგრამის სწავლების მეთოდების დახვეწასა და განვითარებაზე.
გარდა ამისა, სწავლების ერთ-ერთი მეთოდია საველე დაკვირვება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გამოიმუშავონ საველე კვლევის უნარები. ასევე სტუდენტები ატარებენ ვორქშოფებს და კონფერენციებს, სადაც საშუალება ეძლევათ საკუთარი კვლევის და ერთმანეთისთვის რჩევების და გამოცდილების გაზიარების. რადგან ჯგუფი პატარაა, სტუდენტებს და ლექტორებს აქვთ საშუალება, რომ დიდი დრო დაუთმონ სემინარებში მონაწილეობას. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებში ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" საშუალებით.
განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სამაგისტრო ნაშრომები, რომელთაც ეტყობა ლექტორისა და სტუდენტის მჭიდრო თანამშრომლობა და აქტიური ურთიერთობა, რაც გამოიხატება როგორც ნაშრომების შინაარსსა და სტრუქტურაში, ისე აკადემიური წესების დაცვასა და ზოგად გამართულობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლოპროგრამა;
- სილაბუსები;
- ექსპედიციის კონცეფცია;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა„არგუსი";
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მას შიცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☑	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების პროცესი შესაბამისობაშია როგორც შიდა (უსდ-ს), აგრეთვე გარე რეგულაციებთან. პროგრამაში შემავალი კურსების შეფასება მრავალკომპონენტიანია და სწავლის შედეგების შეფასებას ითვალისწინებს კონკრეტული, გაზომვადი და ადეკვატური კრიტერიუმების გამოყენებით. როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია მოცემული, „სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალობა". პროგრამის მიერ შემოთავაზებული შეფასების სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს ოთხი პრინციპი დაცული იყოს.

უსდ-ში შეფასება 100-ქულიან სისტემას ეფუძნება, საგანმანათლებლო სივრცეში არსებული რეგულაციების შესაბამისად. ჩაჭრილად (F) მიიჩნევა სტუდენტი, რომელმაც საბოლოო ჯამში, სემესტრის ბოლოს ვერ შეძლო 40 ქულაზე მეტის დაგროვება.

სტუდენტთა შეფასების პროცესი ითვალისწინებს სემესტრის განმავლობაში მინიმუმ სამი კომპონენტით შეფასებას - შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება. ეს უკანასკნელი კურსის სავალდებულო კომპონენტია და მისი ხვედრითი წილი 30 ქულას არ აღემატება.

სილაბუსებში განსაზღვრულია კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებსაც ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით სტუდენტები წინასწარ ეცნობიან. ამავე სისტემის დახმარებით მყარდება გამართული კომუნიკაცია სტუდენტსა და ლექტორს შორის (კომუნიკაცია აგრეთვე შესაძლებელია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების გამოყენებით).

უსდ-ში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი - სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და საკითხის განხილვის მიზნით.

სტუდენტებს აქვთ საშუალება კურსის დამთავრების შემდეგ შეაფასონ ლექტორები და აგრეთვე სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობა. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მათგან მიღებულ შენიშვნებს შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენცია და გამოცდილება სრულად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის და ზოგადად ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით მათ დამატებითი ცოდნის მიღება შეუძლიათ უსდ-ში მოქმედი პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგ-მოდულების დახმარებით.

სტუდენტების შეფასების მეთოდებისა და პროცესის შემუშავება/გაუმჯობესების საქმეში აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმის ექსპერტები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინდივიდუალური თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- სილაბუსები და კონცეფციები;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი: კომპეტენციების რუკა, მიზნის რუკა, სამიზნე ნიშნულები;
- ელექტრონული სისტემა "არგუსი".

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტების შეფასება	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას აღგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ჩარიცხვის მსურველებისთვის და მოქმედი სტუდენტებისთვის **ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის** მრავალფეროვანი საშუალებები, როგორიცაა: 1) საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრები ჩარიცხვის მსურველი პირებისთვის და სტუდენტებისთვის, რომელშიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დეტალური ინფორმაცია მიიღონ სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ; 2) სწავლის პირობები და მხარეთა პასუხისმგებლობები დეტალურადაა გაწერილი ახალ მიღებულ სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში; 3) აკადემიურ და აღმინისტრაციულ პერსონალს აქვს გამოყოფილი საათები სტუდენტთა კონსულტაციებისთვის; 4) უნივერსიტეტის სპეციალური პროგრამული სისტემა „არგუსი" სტუდენტებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს. კორპორატიული ელ-ფოსტა და არგუსის პაროლი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო ქსელში; 5) ფაკულტეტს ჰყავს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი, რომლისგან ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პირადი კონსულტაციის, ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით; 6) სტუდენტთა კონსულტაციას პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებზე ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, კერძოდ

კურიკულუმის ექსპერტი; 7) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ხშირად ატარებს ტრენინგებს უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემისა და რესურსების გამოყენების შესახებ; 8) სტუდენტებისთვის სასარგებლო ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება ვებგვერდზე და ეგზავნება სტუდენტს ელ-ფოსტის საშუალებით; 9) დასაქმების მმართულებით საინფორმაციო და საკონსულტაციო საქმიანობას ახორციელებს ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი; 10) უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური ცხოვრების ფორუმი, რომლის მეშვეობითაც ახალწვეულები ეცნობიან სტუდენტური კლუბის რეგისტრაციის პროცედურებს; 11) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან და დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას საერთაშორისო გაცვლით პროგრამების შესახებ და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **პროგრამული სისტემა „არგუსი“**, რომელიც კორპორატიული მეილის საფუძველზე ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად აქვს გააქტიურებული. სისტემა საკმაოდ გამართულად მუშაობს და სტუდენტებს მოქნილად სთავაზობს სასწავლო კურსებს, ელექტრონულ სასწავლო მასალებსა და სილაბუსებს. აღნიშნული პროგრამის დახმარებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ სასწავლო კურსები, იხილონ საკუთარი შეფასება და დაგროვებული ქულები და დაგეგმონ სწავლის პროცესი. „არგუსში“ ხელმისაწვდომია კურსის სილაბუსით გათვალისწინებული მასალები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ერთი მხრივ სტუდენტებსა და მეორე მხრივ აკადემიურ პერსონალს/უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის გამართული **კომუნიკაციის საშუალებები,** მაგალითად: პროგრამული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით სტუდენტებს საშუალება აქვთ მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ კურსის ხელმძღვანელებთან და მიიღონ მათგან უკუკავშირი.

სტუდენტები ჩართულნი არიან აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში. პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტთა შეფასებას, შენიშვნებსა და საჭიროებებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა **დასაქმებისა და კარიერული განვითარების** ხელშეწყობას. ამ მიმართულებით მუშაობს ილიაუნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი. დეპარტამენტი ატარებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: „მარი ბურდულის სახელობის დასაქმების თვე და პროფილური დასაქმების ფორუმების სერია - UNIJOBS, UNIJOBS – ის სერია მოიცავს შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ტრენინგებს და კონსულტაციებს კარიერული განვითარებისთვის და სხვ. UNIJOBS-ის ბაზაში რეგისტრირებულ კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების შესახებ. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უტარდებათ კარიერული განვითარების მხარდამჭერი ვორქშოფები. უნივერსიტეტს აქვს კუსდამთავრებულთა ბაზა, რომელსაც პერიოდულად ანახლებს. ამ ბაზის საფუძველზე ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ხორციელდება კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი საუნივერსიტეტო პროექტები: კიბერლაბორატორია უნილაბი და პროექტი ილიაუნი +, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის კარიერული განვითარების პროექტი "BOOSTER" და სხვა. საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში უნივერსიტეტში შეიქმნა დოქტორანტების/კურსდამთავრებულების დამსაქმებლების მონაცემთა ბაზა. უნივერსიტეტი აორგანიზებს დასაქმების ფორუმებს. უსდ-ს გააჩნია კურსდამთავრებულთა ბაზა, რომლის განახლება ხდება ყოველწლიურად, რომლის მიზანს წარმოადგენს სასწავლო პროგრამის დამთავრებიდან მინიმუმ ერთი წლის

შემდეგ სტუდენტთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და განვლილი პროგრამით მათი კმაყოფილების შეფასება.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს **საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის** თვალსაზრისით. უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus+) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულის ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისებს: უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდის, „არგუსის", ელფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, სტუდენტებს ეხმარება ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, პროგრამის სტუდენტების შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, რომელიც არ არის უსდ-ს მიერ ადმინისტრირებული, მაგალითად: კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდია 2 წარმატებული სტუდენტისთვის, Erasmus + გაცვილითი პროგრამა (ტარტუ, ლუვენი), სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია და სხვა.

უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა წახალისებისა და მათი ცოდნის გაღრმავების მექანიზმები, როგორიცაა: სეზონური სკოლები და ბანაკები, გასვლითი სეზონური სკოლები, სტუდენტური ცხოვრების ფორუმი, სტუდენტური კლუბები, სტუდენტური პროექტების დაფინანსება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შენიშვნების/ხარვეზების რეგისტრაციის სერვისი. აღსანიშნავია აკადემიური წერის ცენტრის ფუნქციონირება, რომელიც სტუდენტებს ეხმარება დამატებით გაიუმჯობესონ აკადემიური წერის უნარ-ჩვევები. ამ მიმართულებით არსებობს ონლაინ რესურსებიც.

კარგ პრაქტიკაში უნდა მოვიაზროთ სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორების ინიციატივით დაარსდა. ამ ცენტრში სტუდენტებს კონსულტაციას კვალიფიციურ და გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად თავად ამ უნივერსიტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებიც უწევენ.

აგრეთვე აღსანიშნავია, ბრიტანეთის საბჭოს მიერ დაფინანსებული ბიზნეს ინგლისურის შემსწავლელი კურსები (Learn English Select), რომელიც ნებისმიერ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიუმჯობესონ ბიზნეს ინგლისური ენის ფლობის ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინდივიდუალური თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამული სისტემა "არგუსი";
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება და სხვა მასალები;
- გაცვლითი პროგრამების წესი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტები;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება;
- უსდ-ს ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☑	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შემუშავებულია სამაგისტრო, სადისერტაციო ნაშრომების კონცეფციები და სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება. ამ დოკუმენტების საფუძველზე წარმოებს სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის პროცესი.

უსდ-ს შემუშავებული აქვს პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლებამოვალეობები, პასუხისმგებლობები, ხელმძღვანელობის პროცესი, სტუდენტის ვალდებულებები, ნაშრომის შექმნის პროცესი და ნაშრომის შეფასებება.

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორი ან მოწვეული პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას; ასევე შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია; შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია აკადემიური პერსონალისა და მათი კვლევის ინტერესების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და ამის საფუძველზე აირჩიონ მათ საკვლევ ინტერესებთან შესაბამისი ხელმძღვანელი.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებს ჰყავდეთ გამოცდილი და პროფესიონალი სამეცნიერო ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორებიდან, აგრეთვე, ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი შესაძლებელია იყოს: შესაბამისი მიმართულების ან დარგის მოწვეული პირი, დოქტორანტი, მკვლევარი, რა თქმა უნდა გარკვეული კრიტერიუმების დამკმაყოფილების შემთხვევაში.

ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ხელმძღვანელები სტუდენტებს რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით.

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**22**

მაგისტრანტების რაოდენობა	**10**
თანაფარდობა	**22/10**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი;
- რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი ნაშრომების/პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- აკადემიური პერსონალის CV-ები, შეფასება და დატვირთვა;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეიძლება ითქვას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი, როგორც ძირითადი ისე მოწვეული, შედგება საქართველოში საუკეთესო სპეციალისტებისგან. პროგრამაში ჩართულები არიან როგორც უშუალოდ თეოლოგიასა და რელიგიისმცოდნოებაში დოქტორის ხარისხის მქონე პირები, ისე ისინი, ვისი სადოქტორო ნაშრომი, გამოქვეყნებული მონოგრაფიები თუ სტატიები ხშირად და უმეტესწილად რელიგიის აკადემიურ პრობლემატიკას ეხება.
პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის წამყვანი სპეციალისტი და აქვს პროგრამაშ ჩართულობის ხანგრძლივი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ასევე მჭიდრო საერთაშორისო კონტაქტები, რასაც აქტიურად იყენებს პროგრამის დაგეგმვაში, განხორცილებაში და გაუმჯობესებაში. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი ნაშრომი რელიგიის კვლევების მიმართულებით და აქვს ამ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.
პროგრამაში ჩართულია 23 აკადემიური პერსონალი, აქედან 8 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი, 4 მოწვეული პერსონალი. 23 აკადემიური პერსონალიდან 10-ს აქვს დოქტორის ხარისხი რელიგიისმცოდნეობის ან თეოლოგიის მიმართულებით, ხოლო დანარჩენი პერსონალის რეზიუმეებიდან გამომდინარე, ბევრს აქვს გამოცდილება რელიგიის საკითხებზე მუშაობის სოციოლოგიის,

ფსიქოლოგიის ან ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან. აღნიშნული რაოდენობრივი მაჩენებელი სრულად უწრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიურ პროცესში ჩართული ყველა პირი კურსებს უძღვება თავისი კომპეტენციიიდან და პროფესიის პერსპექტივიდან გამომდინარე, იქნება ეს სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, გენდერის თუ პოლიტიკის საკითხები. ხოლო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სასწავლო პროცესში ჩართული ნებისმიერი პირი. ზოგადად, აკადემიური პერსონალის პროფესიული ინტერესები, მათი კვლევები და სასწავლო კურსები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ამდენად, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, მათი მულტიდისციპლინარული აკადემიური საქმიანობა, ხელს უწყობს პროგრამის მაღალი ხარისხით ფუნქციონირებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**23**	**14**	**11**	**19**
– პროფესორი	8	2	2	8
– ასოცირებული პროფესორი	7	4	4	7
– ასისტენტ-პროფესორი	4	4	4	4
– ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	4	4	1	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☑	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დოკუმენტაციის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს სამეცნიერო მუშაობის გამოცდილებას. ხელმძღვანელები ფორმალურად შესაბამისობაში არიან პროგრამის ამოცანის შესრულებისათვის საჭირო ტექნიკურ კრიტერიუმებთან. გარდა ამისა ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტმა ცალსახად აჩვენა, რომ ისინი ფლობენ უცხო ენებსა თუ თანამედროვე აკადემიურ გამოცდილებას, გააჩნიათ მდიდარი სამეცნიერო ბიოგრაფია და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება, რაც როგორც ბეჭდურ, აკადემიურ-პუბლიკაციურ სამუშაოებში, ასევე სხვადასხვა დროს საქართველოსა თუ საზღვარგარეთ კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და ინტერნაციონალურ და ინტერდისციპლინარულ შეხვედრებზე აკადემიური აქტივობებითა და ჩართულობით გამოიხატება. ამდენად პროგრამას ფორმალურად თუ ტექნიკურ-სამეცნიერო დონეზე გააჩნია შესაბამისი აკადემიური ინფრასტრუქტურა და კაპიტალი, რომლის საშუალებითაც ის აკადემიური თვალსაზრისით მაგისტრანტებს გაუწევს საკმარის კვალიფიციურ ხელმძღვანელობას საჭირო სამეცნიერო მიმართულებით.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**3**	**2**
- პროფესორი	3	1	1
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☑	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა მხარდაჭერილია სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის მიერ, რაც რეგულირებულია შესაბამისი დოკუმენტით. აკადემიურ პერსონალს აქვს საშუალება ერთი მხრივ კონსულტაცია გაიაროს აღნიშნულ სამსახურთან იმის თაობაზე, თუ როგორ მოამზადოს სამეცნიერო კვლევითი პროექტი, შეიტანოს საგრანტო დაფინანსებაზე და ა.შ. ამავე დროს, უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო კვლევების დასაფინანსებელი ფონდი, სადაც აკადემიურ პერსონალს შეუძლია განაცხადის შეტანა. უნივერსიტეტს აქვს ასევე კვლევით პროექტების ერთობლივი დაფინანსებების. პრსონალს შუძლია წარმოადგინოს თავისი კვლევითი პროექტი, რომელსაც განიხილავს აკადემიური საბჭო,

გაითვალისწინებს აპლიკანტის აკადემიურ მიღწევებს და მიიღებს გადაწყვეტილებას კვლევის დაფინანსების ან დაფინანსების ოდენობის თაობაზე. როგორც ასევე დადასტურდა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს, მონაწილეობა მიიღოს საერთაშირო კონფერენციებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებში (ვიზიტის დროს, ჰარვარდის უნივერსიტეტში მოხსენების წასაკითხად იყო მივლინებული ერთ-ერთი პროფესორი და, შესაბამისად, ვერ ესწრებოდა შეხვედრას).

აკადემიურ პერსონალის მდიდარი რეზიუმეებიდან იკვეთება, რომ ისინი რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშირისო კონფერენციებში, სემინარებში, იღებენ კვლევით გრანტებს და აქვეყნებენ სტატიებსა და მონოგრაფიებს საერთაშორისო გამომცემლობებში.

ამავე დროს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC), რომელიც ეხმარება აკადემიურ პერსონალს სასწავლო პროცესების უკეთ დაგეგმვასა და გაუმჯობესებაში. ასეთი ტრენინგები ტარდება როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე ევროპის კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში. ცენტრი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს.

უნუვერსიტეტს აქვს შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, შეფასების კონკრეტული მეთოდებითა და მექანიზმებით. ძირითადი პერსონალის შემთხვევაში ხდება მათი სწავლებისა დაკვლევის შეფასება, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში – სწავლების. დამატებით ასევე ფასდება სოციალური იმპაქტი და ადმინისტრაციული საქმიანობა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ვრცელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს 2019-2021 წლებში მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

შეფასება ხდება 2 წელიწადში ერთხელ (აკადემიური წლის ბოლოს. შეფასების პროცესის ადმინისტრირებას და მიღებული შედეგების ანალიზს, უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლის მონაწილეობით), როგორც სასწავლო და კვლევითი, ასევე სოციალური იმპაქტისა და ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.

შეფასების შედეგებს, ანგარიშის სახით ფაკულტეტის ადმინისტრაცია აწვდის რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს.
შეფასების ინსტრუმენტად გამოყენებულია უნიფიცირებული თვითშეფასების კითხვარები, რომლებიც შემუშავდება ამ წესით განსაზღვრული საქმიანობის შესაფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
ასევე, დამატებითი შეფასების ინსტრუმენტად შესაძლოა გამოყენებულ იქნას „ი-პრინტის“ მასალები, ან faculty.iliauni.edu.ge –ზე გამოქვეყნებული პროფესორების პროფაილები.

სწავლების შეფასების კრიტერიუმები შედგება 80 ქულისაგან, ხოლო კვლევაში 60 ქულა, ხოლო სოციალური იმპაქტისა და ადმინისტრაციული საქმიანობა არ წარმოადგენს სავალდებულო საქმიანობის სფეროებს და შეიძლება შეფასდეს დამატებით მაქსიმუმ 10-10 ქულით. პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს და ასისტენტ-პროფესორს შეუძლია გაზარდოს თავისი დატვირთვა სწავლების ან კვლევის, ან სოციალური იმპაქტის კომპონენტებში და ამ გზით დააგროვოს 200 ან მეტი ქულა წლის მანძილზე.

აღსანიშნავია, რომ პროფესორს და ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს ისარგებლოს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 2 სემესტრიანი აკადემიური შვებულებით ე.წ საბატიკალით კვლევითი კომპონენტის მიზნებიდან გამომდინარე ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, ხოლოასისტენტ-პროფესორს შეუძლია ისარგებლოს 5 წელიწადში ერთხელ მაქსიმუმ 1 სემესტრით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განვითარების სამსახურის დებულება;
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი;
- მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევის ანგარიში;
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში;
- სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი;
- •სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ინფორმაცი აღონისძიებების შესახებ;
- აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☑	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც ვიზიტისას, ბიბლიოთეკის, ელექტრონული სწავლის სისტემის შესწავლით დადგინდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტს ზოგადად და კერძოდ რელიგიის კვლევები პროგრამას აქვს შესანიშნავი ინფრასქტრუქტურა სრულყოფილი სასწავლო და კვლევითი პროცესის განსახორციელებლად. ამევე დროს, უნივერსიტეტი იყენებს სსხვადასხვა დამხმარე საშუალებას, როგორიცაა Turnitin, სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვის და ამ შემთხვევაში პლაგიარიზმთან ბრძოლისთვის. უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს ფაქტობრივად ყველა მნიშნელოვანი სამეცნიერო ბაზა და თავისუფლად ხელმისწავდომს ხდის მას სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტს ასევე აქვს კარგი სივრცეები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ჯგუფურად მუშაობა, პროექტების დაგეგმვა და ა.შ. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს რეგულარულ ტრენინგებს აღნიშნული ბაზების და ზოგადად ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებაში. ინტერვიუების დროსაც, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა პროფესინალურად, დეტალურად და, რაც მთავარია, ძალიან გასაგებად აღგვიწერეს მთელი პროცესი და გაგვაცნეს როგორც საბიბლიოთეკო რესურსები ისე ელექტრონული ბაზები.

ასევე აღსანიშნავია, ბიბლიოთეკით სარგებლობის ლიბერალური წესი – სტუდენტებს შეუძლიათ ფაქტობრივად შეუზღუდავი რაოდენობით გამოიტანონ წიგნები.

ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს რიდერების დამზადებას კურსებისთვის. გარდა ამისა, კურსების საჭურიებიდან გამომონდიარე, ლექტორის მიმართვის საფუძველზე რეგულარულად ხდება ახალი ლიტერატურის შეძენა და ბიბლიოთეკაშ განთავსება.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და კერძოდ რელიგიის კვლევების პროგრამის მატერიალური რესურსები არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეულად ძლიერი და შთამბეჭდავი მხარე, რაც მაგალითი შეიძლება იყოს ყველა სხვა უნივერსიტეტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა„არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები:http://library.iliauni.edu.ge/;
- ელექტრონული სწავლების პორტალი:http://moodle.iliauni.edu.ge/;
- ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობასთან;
- ●ინფრასტრუქტურის, ტექნიკურიაღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები
- ●საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთანდაღებული ხელშეკრულებები;

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☑	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეგილიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი მოიცავს ერთი მხრივ სტუდენტთა სწავლის საფასურით მიღებულ შემოსავალს და მეორე მხრივ პროგრამის

განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო ხარჯს. პროგრამის ბიუჯეტში წარმოდგენილი სხვა ხარჯები, როგორიცაა მაგ. პროგრამული უზრუნველყოფა, ლიტერატურა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსი, სასწავლო პრაქტიკა, საოფისე ხარჯები და ა.შ. მინიმალურია და არაა საკმარისი პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის. თუმცა თვითშეფასების დოკუმენტიდან და ასევე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან (რომლის შემდეგაც ექსპერტებს მოგვეწოდა დამატებითი დოკუმენტაცია) ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში გაღებული ხარჯები, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, განახლებისა და მოვლა-შენახვის ხარჯი, პროგრამულ უზრუნველყოფის, სისტემატურად მზარდი რესურსების მქონე საბიბლიოთეკო ფონდის, ელექტრონული სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბაზების, სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეების მოწყობის, კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადების, სტუდენტური სერვისების და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა ისეთ ხარჯებს, რომლებიც უმეტესწილად საერთოა სხვადასხვა პროგრამებისა და ფაკულტეტებისთვის (მაგ.: საბიბლიოთეკო ფონდით, ბაზებით, სასემინარო ოთახებით და ა.შ. სარგებლობს ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტი, თუ აკადემიური პერსონალი). ამგვარი ხარჯები, შინაარსიდან გამომდინარე პროგრამების მიხედვით გამიჯვნას არ ექვემდებარება და თავის მხრივ გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. ამასთანავე, თითოეული პროგრამის და ფაკულტეტების საჭიროებების გათვალისწინება ხდება ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ფაკულტეტების მოთხოვნების საფუძველზე და ეფუძნება თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით იდენტიფიცირებულ საჭიროებებს (მაგ.: საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო რესურსები, სპეციფიური ლაბორატორიული აღჭურვილობა და სხვ.)

ასევე, პროგრამის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების და პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობები ფინანსდება დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდან. კერძოდ, ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და მოიცავს მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და სხვ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს არაერთი გარე დონორი, რომელიც უშუალოდ ჩართულია აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერასა და მათ წახალისებაში სტიპენდიების დაწესების თვალსაზრისით. უნივერსიტეტის მხრიდან დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტი (2022 წლის ბიუჯეტი) ჯამურად ასახავს გარე დონორებისგან მოზიდული პროექტების წილ თანხებს.

თვითშეფასების დოკუმენტის, წარმოდგენილი ბიუჯეტისა, ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი მხარდაჭერილია პროგრამის განვითარების ინტერესების გათვალისწინებით. მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი მიღწევადია და ორიენტირებულია პროგრამის მდგრადობაზე. ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებისათვის გასაწევ ხარჯებსა და შესაბამისი შემოსავლების ასპექტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით“ და მის შესრულებას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ცალკეული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი და პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.

გარდა უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მათთან კოორდინირებით, ასევე ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი და ადმინისტრაციული პერსონალი, მათ შორის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სპეციალისტი. პროგრამის განვითარების პროცესში მათი ჩართულობა დასტურდება, როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან, ასევე ინტერვიუების შედეგად. რაც შეეხება პროცესში სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, როგორიცაა მაგ. დამსაქებელი - დოკუმენტებიდან და ასევე ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ დამსაქმებლის რეკომენდაციების და მოსაზრებების გათვალისწინება მოხდა მათთან ფოკუს ჯგუფების ჩატარების მეთოდით. ინტერვიუების შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა უნივერსიტეტისა და დამსაქმებლის მჭიდრო თანამშრომლობა და ძალიან ჯანსაღი ერთიანი ეკოსისტემა, რომელსაც მათი კოორდინიერბული საქმიანობა ქმნის, ერთი მხრივ კურსდამთავრებულთა პრაქტიკის, დასაქმების და მეორე მხრივ სტუდენტთა სტიპენდიებით წახალისების კუთხით.

თვითშეფასების ანგარიშსა და წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილია კურსდამთავრებულთა ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, თუმცა აღნიშნული ფაქტი მკაფიოდ არ დადასტურდა უნივერსიტეტში ვიზიტის დროს კურსდამთავრებულებთან ინტერვიუზე დამსწრე პირთაგან. სასურველია მოხდეს კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესში სტუდენტთა ჩართულობა გამოხატულია მხოლოდ ზოგადი კმაყოფილების კვლევის კუთხით და მათი წვლილი უშუალოდ პროგრამის შეფასებისა და განვითარების ნაწილში ბუნდოვანია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ არ იცნობენ უშუალოდ წარმოდგენილი პროგრამის შინაარსობრივ/სტრუქტურულ მხარეს.
აღნიშნულ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ გაგვცა პასუხი, რომ, როგორც ინტერვიუებიდანაც გამომდინარეობდა, სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრებს ატარებენ რეგულარულად და რომ “რეაკრედიტაციაზე წარდგენილ განახლებულ პროგრამაში ასახულია სტუდენტთა უკუკავშირი, თუმცა განახლებული პროგრამის გაცნობა პირველკურსელთათვის აკრედიტაციის ვიზიტამდე ვერ მოესწრო. ასეთი შეხვედრა ჩატარდა 2022 წლის 6 დეკემბერს და მასში მონაწილეობა მიიღო მოქმედმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.”

ექსპერთა ჯგუფისთვის დაწესებულების პასუხი დამაკმაყოფილებელია და რეკომენდაციას მიეცემა რჩევის ხასიათი.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობას იღებს: პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი (პროგრამის სამუშაო ჯგუფი), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტი და პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული სხვა ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და მოიცავს ხარისხის **პირდაპირი** (აკადემიური მოსწრების ანალიზი) და **არაპირდაპირი** (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი) შეფასების ფორმებს.

სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად, სწავლის თითოეული შედეგის გაზომვა ხორციელდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის თანახმადაც შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, რომელშიც მიღწეულ იქნა სწავლის აღნიშნული შედეგი.

ხარისხის პირდაპირი შეფასების ნაწილში აკადემიური მოსწრების ანალიზი გულისხმობს უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე არსებულ მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის და სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად დადგენილია სამიზნე ნიშნულები.

ხარისხის **არაპირდაპირი** შეფასების პროცესში პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევისას ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ. გარდა ამისა, ხდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა კითხვარების გამოყენებით.

უნივერსიტეტში ბოლო პერიოდში განხორციელდა ცვლილებები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის თვალსაზრისით. კერძოდ, სასწავლო კურსების შეფასებისას კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიცვალა შეფასების ფორმა, რომელიც უფრო მეტად არის მორგებული ამ სპეციფიკაზე; დაიხვეწა აკადემიური მოსწრების ანალიზის მეთოდი - დაემატა ინდიკატორები, განისაზღვრა ისეთი ცნება როგორიცაა " ნორმა" (ელ. ბაზაში ჩანს შეფასებების მედიანასა და საშუალოს განაწილება) და ეს ხელმისაწვდომია მუდმივად ლექტორისთვისაც; შეფასების დიზაინი მოერგო პროგრამის სპეციფიკას - კერძოდ, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის სტანდარტული კურსის შეფასების კითხვარის ნაცვლად მოხდა „ხელმძღვანელობის შეფასების“ ინტეგრირება.

ასევე, აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტში დისტანციური სწავლებისთვის ადაპირებულია მექანიზმები - დისტანციური სწავლების პერიოდში შეიცვალა მაგ. სერვისების შეფასების კითხვარი, გამომდინარე იქიდან რომ შექმნილი სიტუაციის გამო უკვე შეცვლილი იყო თავად სერვისების შინაარსი და ნაირსახეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის შიდა შეფასება;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☑	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ილიას უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასებისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტებთან პროგრამის შესაფასებლად.

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის შეფასება განხორციელდა ლუნდის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის დეპარტამენტის მკვლევრის მიერ. დარგის ექსპერტმა პროგრამა დადებითად შეაფასა. მისი ფართო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით დარგის ექსპერტი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნები და მიმართულებები შეესაბამება საერთაშორისო უმაღლეს სტანდარტებს. იგი აღნიშნავს, რომ პროგრამას გააჩნია ცხადი სტრუქტურა და ინოვაციური სწავლების მეთოდები. განსაკუთრებულ დადებით მხარედ მიიჩნევს, პროგრამის ფარგლებში „ექსპედიციის" სავალდებულო კომპონენტს. ექსპერტი ასევე, პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევს მასში ჩართულ განმახორციელებელ პერსონალს. ამასთან ერთად ექსპერტი აღნიშნავს, რომ პროგრამას გააჩნია სწავლების პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის გარე შეფასება;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☑	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და პროცედურები განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესში და საგანამანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის და პერიოდული შეფასებების პროცედურები. თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასება/ანალიზზე. შესაბამისად პერიოდულად ტარდება პროგრამის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს -სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებებით. შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს - როგორც სტუდენტების, ასევე სხვა დაინტერესებული პირების დამოკიდებულების შესწავლას, რომლისთვისაც განსაზღვრულია შემდეგი შეფასების ფორმები: კითხვარები, ბაზრის კვლევა, ფოკუს ჯგუფები და სხვა. პროგრამი შეფასების კრიტერიუმების დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასებების პერიოდულობაც.

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პროგრამის გაუმჯობესების პროცესში გამოიყენეს კურსდამთავრებულთა უკუკავშირი - კერძოდ, პროგრამის დასრულებისათვის სავალდებულო კომპონენტად განისაზღვრა „ექსპედიციის“ კომპონენტი. ასევე, მოხდა დამსაქმებელთა უკუკავშირის გათვალისწინებაც.

რელიგიის კვლევების სამსაგიტრო პროგრამის განვითარების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოცდილებებეთან. ესენია დიუკის უნივერსიტეტი, აშშ (Duke University (US), გაერთიანებული სამეფოს ღია უნივერსიტეტი (The Open University (UK); გრონინგენის, უტრეხტისა და ლაიდენის უნივერსიტეტები ნიდერლანდებში (University of Groningen (The Netherlands) და ამასთანავე, გოტინგენის უნივერსიტეტი, გერმანია (University of Gottingen (Germany). ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტები შეირჩა როგორც რელიგიის კვლევაში ტრადიციული ცოდნის, გამოცდილების და ამავდროულად დარგის უახლესი განვითარების მქონე ინტერდისციპლინური პროგრამები. შესაბამის დოკუმენტში აღწერილია უნივერსიტეტების პროგრამების მიზნები და მათი განვითარების ძირითადი ფოკუსები, მათი ანალიზი და შესაბამისობა რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საერთაშორისო ანალოგიების დოკუმენტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: რელიგიის კვლევები, მაგისტრატურა.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნიკოლოზ ალექსიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

გიორგი არქანია 

ეფრემ (გივი) ლომიძე P. Ephräm Givi Lomidze

თამთა ლეკიშვილი